წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

ო ქ მ ი N 32

ქ. წალკა; 04.11.2025 წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა: წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ირაკლი გიგინეიშვილი

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე გოჩა ხაჩატურიან, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-რადიკ სარკისიან,წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე-ჯაბა აბულაძე, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ჯემალ ბერიძე, სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ანტარამ მელტონიან, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე ლევონ მარკოსიან, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე მელიტონ პაკელიანი, სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ნუგზარ ჩამურლიევი, ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე უშანგი ბოლქვაძე, ფრაქცია „ხალხის-ძალის“ თავმჯდომარე ბადრი ხოზრევანიძე.
(რეგისტრაციის სია თან ერთვის);

სხდომა დაიწყო: 11:00 საათზე;
სხდომა დასრულდა: 11:15 საათზე;

დღის წესრიგი:

1. დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ” წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

2. განკარგულების პროექტი "მდგრადი განვითარების მიზნების წალკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ";

სხდომამ განიხილა:

1. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია დადგენილების პროექტი „წალკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის №32 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ; ბიუროომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს დადგენნილების პროექტის განხილვის პროცედურები და დაევალოს საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიას და ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ აღნიშნული დადგენილების პროექტი და საკრებულოს აპარატში წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

2. სხდომის თავმჯდომარემ ირაკლი გიგინეიშვილმა ბიუროს წევრებს მოახსენა, რომ ბიუროზე განსახილველად წარმოდგენილია განკარგულების პროექტი "მდგრადი განვითარების მიზნების წალკის მუნიციპალური დოკუმენტის დამტკიცების შესახებ"; ბიუროომ ღია კენჭისყრით (11 მომხრე, 0 წინააღმდეგი) გადაწყვიტა: "წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის N6 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 83-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის თანახმად, დაიწყოს განკარგულების პროექტის განხილვის პროცედურები და დაევალოს საკრებულოს კომისიებსა და ფრაქციებს, სხდომებზე განიხილონ აღნიშნული განკარგულების პროექტი და საკრებულოს აპარატში წარმოადგინონ შესაბამისი დასკვნები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

საკრებულოს თავმჯდომარე *ი.გიგინეიშვილი* *ი.გიგინეიშვილი*